ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4293644

ნომერი: AR1647730

თარიღი : 03.12.2018

გაცემის თარიღი : 06.12.2018

გაცნობის თარიღი : 07.12.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი ყაზბეგის , N 32/34;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მურმან გუგეშაშვილი პ/ნ 01024020560
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 11 ბ. 78

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილია თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები სცდება თქვენს საკადასტრო საზღვრებს და არნიშნული ტერიტორია წარმოადგენს რეკრეაციულ სივრცეს (გამწვანების ზოლს) და საპროექტო კიბის განთავსების ადგილზე ფიქსირდება აქტიური გამწვანება, რომელიც აბალანსებს აღნიშნულ სეგმენტზე გადატვირთულ განაშენიანებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება და განვითარება (ოთხ სართულზე გარე კიბის მოწყობით) , ვინაიდან აღნიშნული სამუშაოების განხორციელება სხვა მიმართულებით წაიყვანს მოცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებას და სამომავლოდ გამოიწვევს მიმდებარე ტერიტორიის განვითარების არასწორ პრეცედენტს. გარდა ამისა რადგანაც დღევანდელი მდგომარეობით სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტია ქალაქში ხე–ნარგავების მაქსიმალური შენარჩუნება და აღდგენა.

შესაბამისად სამსახური თვლის, რომ არსებული ქალაქგეგმარებითი ერთეული, უნდა შენარჩუდეს მწვანე კუნძულად მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნის თვალსაზრისით , რადგან ბუნებრივი რესურსებისა და ფასეულობების, მათ შორის, სარეკრეაციო რესურსების ეფექტიანი გამოყენება და დაცვა წარმოადგენს იმ საჯარო ინტერესს, რომელიც დაცულ და გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც სახელმწიფოს ასევე კერძო სექტორის მხრიდან.

ზენოაღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები არ შეესაბამება განაშენიანების სამომავლო განვითარების მისაღებ ჩამოყალიბების პრინციპს, სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად მსგავსი პრეცენდენტის დაშვება და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენს მოთხოვნა.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.